

დასკვნა

ქ. ბათუმში, ლერმონტოვის ქ. №106ა-ში მდებარე 1617 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 05.26.03.067) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დასაკმაყოფილებელია. შენობის ძირითად ნაწილს დაზიანებები ბზარების სახით და დეფორმაციები არ გააჩნია. ფიქსირდება დაზიანებები ამოშენებულ კედლებსა და შენობის ძირითადი კედლების შეერთების ადგილებში გახსნილობების სახით. დაზიანებათა კლასიფიკაციის მიხედვით ისინი განეკუთვნებიან I - II ცალკეულ შემთხვევებში III ხარისხის დაზიანებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია და რენტაბელურია სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. თუმცა ყურადსაღებია შემდეგი გარემოებები: სარდაფებში დგას წყლები, რომელიც შესაძლოა საკომუნიკაციო სისტემების გაუმართაობის შედეგი იყოს. ამის მიზეზი არის აგრეთვე წყალარინების სისტემების გაუმართაობაც, რაც ამკარად ჩანს შენობის გარე ვიზუალური დათვალიერებით. სარდაფებში არსებულმა წყლებმა შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს ჯდენითი დეფორმაციების განვითარება, რაც საფრთხეს შეუქმნის კორპუსის მდგრადობას. ნორმალური და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა:

- შენობის ფასადის მოხსნილი ელემენტების სანაცვლოდ (ამოშენებული აივნების ოთახებთან მიერთებისას) მოეწყოს სისხისტის ჩარჩოვანი სისტემები ამავე ფასადების სისხისტის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც დამუშავებულ იქნას სათანადო პროექტი;



ექსპერტის დასკვნა № 001467522

- მოხდეს საკომუნიკაციო და წყალარინების სისტემების გამართვა, რათა შეწყდეს სარდაფებში წყლების ჩადინება;
- ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები სადარბაზოებში მოლუვულობის შედეგად დაზიანებების აღმოსაფხვრელად. მხოლოდ ამ სამუშაოების შესრულების შემდგომ, თუ კვლავ ადგილი ექნება სარდაფებში წყლების დაგროვებას, მოხდეს გრუნტების გეოლოგიური კვლევა, წყლების დაგროვების მიზეზის დასადგენად.
- მოხდეს ბზარების მონიტორინგი მათზე ყალბურების დადების გზით. დაზიანებების პროგრესირების დაფიქსირების შემთხვევაში, ჩატარდეს დეტალური კვლევა მიზეზების დადგენის მიზნით;
- იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდება სიტუაციის სტაბილიზაცია, ამოშენების და ძირითადი მზიდი კედლების შეერთების ადგილებში ბზარების და გახსნილობების აღმოფხვრის მიზნით, დამუშავდეს კვანძების გაძლიერების პროექტი და მისი განხორციელება მოხდეს გვემოთხსენიებული სარემონტო სამუშაოების შესრულების დროს;

დაწერილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევიტ ნაწილში

გიორგი მარჯანიძე